საქართველოს მთავრობის

დადგენილება №307

2024 წლის 20 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 მარტის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის სამ-თავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 მარტის №53 დადგენილებაში (სსმ, №33, 23/03/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, შეიქმნას საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის საქართველოს მხარე შემდეგი შემადგენლობით:

ლევან დავითაშვილი	– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, პირველი ვიცე- პრემიერი, კომისიის თავმჯდომარე;
გენადი არველაძე	– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
ალექსანდრე ხვთისიაშვილი	– საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
თენგიზ ნასარიძე	– საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;
ტარიელ გუგავა	– საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
მზია გიორგობიანი	– საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
გივი ზედელაშვილი	– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვაჭრობის განვითარების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
ეკა ყუბუსიძე	– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;
ალექსანდრა სულაძე	– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ნანა შავიძე	– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვაჭრობის განვითარების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის მეზობელი ქვეყნების და რეგიონის სხვა ქვეყნების სამმართველოს უფროსი, კომისიის მდივანი;
ნინო უტიაშვილი	– საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;
ვახტანგ ლომჯარია	– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
ბესიკ ბუგიანიშვილი	– სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი;
მიხეილ ხიდურელი	– სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში სააგენტოს დირექტორი;
ალექსანდრე ონოფრიშვილი	– სსიპ – კურორტების განვითარების სააგენტოს დირექტორი;
ლევან რაზმაძე	– სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე;
გიორგი პერტაია	– სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
გოგიტა თოდრაძე	– სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი;
ნინო ჩიქოვანი	– სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის მოადგილე;
კახაბერ გუდიაშვილი	– სს „საქართველოს რკინიგზის“ სატვირთო გადაზიდვების დირექტორი;
ზურაბ წიკლაური	– სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
ვახტანგ კურცხალია	– სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 19 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**